მატჩი ოდესაში

ოდესა. ცენტრალური სტადიონი. 3 მაისი.

“ჩერნომორეცი” (ოდესა) – “დინამო” (თბილისი) 4:1 (2:1).

“ჩერნომორეცი”: რომენსკი, სოკოლოვსკი, ლეშჩუკი, პსომიადი, სკრიპნიკი, სახნო, სმოტრიჩი (ბელანოვი), ფინკი, ჟარკოვი, შალომაი, ნაკონეჩნი (შარი).

“დინამო”: აბუსერიძე (კუცია), ჭედია, ჩივაძე, დურდიაძე, მუჯირი, კაკილაშვილი, სვანაძე (ჯოხაძე), სულაქველიძე, ჩქარეული, ცაავა, შენგელია.

მსაჯი: ა. კადეტოვი (მოსკოვი).

დუბლიორები 2:1. თბილისელთაგან გოლი გაიტანა ჟორჟიკაშვილმა.

მატჩი ოდესელ ფეხბურთელთა იერიშებით დაიწყო და უკვე მე–7 წუთზე ფინკმა გახსნა ანგარიში – 1:0. გავიდა კიდევ ათი წუთი და ახლა სახნომ გამოიჩინა თავი – 2:0.

ასეთი დასაწყისი, ბუნებრივია, კარგს არაფერს უქადდა სტუმრებს და მათაც ტაიმის დასასრულამდე ცდა არ დაუკლიათ წონასწორობის აღსადგენად. აქედან მხოლოდ ერთი – 38–ე წუთზე გათამაშებული კომბინაცია დასრულდა შედეგიანად. კაკილაშვილის დარტყმა მოიგერია რომენსკიმ, შენგელია კი ბურთთან ყველაზე ადრე გაჩნდა – 2:1. ამ გოლის შემდეგ გაჩნდა იმედი, რომ თბილისელები ქულას მაინც გადაარჩენდნენ. მაგრამ დაიწყო თამაშის მეორე ტაიმი და პირველი ათი წუთის მანძილზე ფინკისა (48 წ.) და ბელანოვის (55 წ.) ორმა ზუსტმა დარტყმამ ყველა იმედი გადაუწურათ სტუმრებს – 4:1. ამის შემდეგ თამაშს დაეკარგა ინტერესი როგორც სპორტული, ისე სანახაობრივი თვალსაზრისითაც.

“ლელო”, 5 მაისი, 1983 წ.